ძველსა და ახალ საქართველოს ცოტა როდი ჰყოლია ერთგული და მოსარჩლე შვილები, ქვეყნის გამაერთიანებელი, უზარმაზარი კოალიციების დამთრუნველი მეფეებით დაწყებული და სამშობლოს საკურთხეველზე სისხლდათხეული უბრალო **გლეხკაცებით** დამთავრებული, მაგრამ ე. **თაყაიშვილის** მიერ გაწეული ღვაწლი, ყველა სხვა ღვაწლისაგან განსხვავებით, მაინც სრულიად განსაკუთრებული და განუმეორებელია.

მარი ბროსესა და დიმიტრი ბაქრაძის შემდეგ ექვთიმე **თაყაიშ**ვილი იყო პირველი თვალსაჩინო ქართველი მეცნიერ-მკვლევარი, ვინც ყმაწვილკაცობაშივე შეუდგა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცული ისტორიული საბუთების შეგროვება-პუბლიკაციას და ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლა-ფიქსირებას. მან გვერდში ამოიყენა მისებრ სამშობლოს სამსახურად აღძრული მოწინავე თანამემამულეები, მისებრ ახალგაზრდები და უანგარო მუშაკნი შობელი ერის კულტურის ასაღორძინებლად, რომელთა დარაზმვისა და დასახული მიზნით წარმართვის უნარი ადრევე გამოუმუშავდა, და მოთმინებით, გულდაგულ შეუდგა მტკიცე ბალავრის ჩაყრას, რომელზეც შემდგომ ქართული ისტორიოგრაფიის ხელთუქმნელი ტაძარი აშენდა.

„იმნაირად, — წერდა მეცნიერი, — უკვე გარკვეული მჭონდა მუშაობის მთავარი მიზანი... რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ‘ისტორია-არქეოლოგიისათვის... ეს მიმაჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ იმ პერიოდში. იმ რწმენით რომ, როცა

ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაცდა დიდ კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ ‘შორეულ წარსულში.“

„აკი ახლა წინასწარმეტყველება! საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე ექვთიმეს კვალდაკვალ მოვიდა დიდი ივანე ჯავახიშვილი. სწორედ ივანეს და მის მოწაფეებს ხვდათ წილად საშვილიშვილო მისიის შესრულება — საქართველოს ისტორიის „შედგენა“, რაზედაც მათი წინამორბედი და შეუპოვარი წინამძღოლი ექვთიმე თაყაიშვილი საუკუნის დამდეგს ოცნებობდა.

მაგრამ ჯერჯერობით, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო თანამემამულეებში, სამშობლოს ისტორიული წარსულისადმი ცხოვრები ინტერესის გაღვიძება და ქართულ ინტელიგენციაში თანამოაზრეებისა და თანამზრახველების აღმოჩენა. ამ მხრივ ცოტა რამ როდი გააკეთა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომლის საჭე თვით დიდ ილია ჭავჭავაძეს ეპყრა, მაგრამ წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა და მიზანი უმთავრესად ქართული ეროვნული სკოლების გახსნით და მათი შენახვით, ხალხში სწავლა-განათლების შეტანით განისაზღვრებოდა.

1980 წელს გამოქვეყნდა ახალგაზრდა მეცნიერის პირველი გამოკვლევა „სამი ისტორიული ხრონიკა“. გამოკვლევა მიმოიხილავდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ნიასტორიო ნაწილს, სუმბატ დავითის ძის თხზულებას ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ და სამეცნიერო ლიტერატურაში „მესხური დავითნის ქრონიკად“ წოდებულ სამცხე-საათაბაგოს ისტორიის ამსახველ ნაწარმოებს.

ჭაბუკი მეცნიერის პირველმავე ნაშრომმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. მალე წიგნი რუსულადაც გამოიცა. „საჭიროა არ არის დაწვრილებით აგიწეროთ ის სიამოვნება, რომელიც აღიძრა ჩემს გულში თქვენი ნაწარმოების წაკითხვით და იმ ფრიად საყურადღებო მასალის გაცნობით, რომელსაც თქვენ უწოდებთ „სამ ხრონიკას“, — წერდა ახალგაზრდა ისტორიკოსს ქართული კულტურის ერთ-ერთი აღიარებული მკვლევარი ალექსანდრე ხახანაშვილი.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

1900 წელს თბილისის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელმა ექვთიმე თაყაიშვილმა დედაქალაქში ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის მოყვარულთა წრე. იგი სულ რამდენიმე წევრისაგან შედგებოდა. მათ შორის იყვნენ: დავით კარიჭაშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, სერგი გორგაძე, კოტე მაყაშვილი, კალისტრატე ცინცაძე და სხვები. წრის სხდომებზე კითხულობდნენ პატარ-პატარა რეფერატებს და სამშობლოს წარსულის გამო მსჯელობდნენ. წრის მოღვაწეობას მაშინვე დიდი მოწონებით გამოეხმაურნენ გაზეთი „ივერია“ და ჟურნალი „მოგზაური“.

მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილს წინ უფრო დიდი მიზანი ედო. ეს მიზანი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსება და ერის ისტორიის შესწავლის მთლიანად მეცნიერულ ნიადაგზე დაყენება გახლდათ. დრო შფოთიანი იყო. რუსეთ-იაპონიის ომში ცარისტული რუსეთის სამარცხვინო დამარცხებამ და მშრომელთა ფართო მასებში თავისუფლების, ძმობისა და ერთობის იდეების გავრცელებამ, რასაც ცხრაასხუთის რევოლუციური გამოსვლები მოჰყვა, მთავრობა ისერგზად დააფრთხო და შეაშფოთა, რაიმე ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე არამცთუ ლაპარაკი, საბუთების ჩამოგდებაც ზედმეტი ჩანდა. გურიაში აჯანყების ხანძარმა იფეთქა. შედგა დამსჯელი რაზმი პირსისსლიან ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით. დაუყოვნებლივ შეიკრიბნენ გავლენიანი ქართველი მოღვაწეები ყველა წოდებისა და აჯანყებული ძალისა და ავტორიტეტს შესძენდნენ როგორც ხალხში, ისე ხელისუფლების წინაშე.

საზოგადოების პირველი „სიპატიო წევრი“ აკაკი წერეთელი იყო. სულმნათ აკაკისთან ერთად, რასაკვირველია, ასევე პირველი წევრი იქნებოდა საზოგადოებისა ილია ჭავჭავაძეც, სწორედ იმ წელიწადს, საზოგადოება რომ დაარსდა, ერის მოღალატის ტყვიით განგმირული რომ არ დაცემულიყო.

ექვთიმე თაყაიშვილის უმწიკვლო პიროვნებამ და მეცნიერულმა რეპუტაციამ მოწინავე ქართული საზოგადოებრიობა მის მიერ წამოწყებული საქმის გარშემო შემოკრიბა. აქეთ მოილტვოდა ყველა, ვისაც გულში სამშობლო სანთლად ეთოო და რომლის აღმავლობისა და დაწინაურებისათვის ჭაპანის გაწევა საკუთარი ადამიანური ღირსების უპირველეს პირობად მიაჩნდა.

საზოგადოების ნამდვილი და სიპატიო წევრები გახდნენ: ნ. მარი, ვ. პეტრიაშვილი, ალ. ხახანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ზურ. ავალიშვილი, პ. მელიქიშვილი, ივ. ოფიციალური ნებართვა გასცა. შეიძლება გადაუჭარბებლივ ითქვას, რომ საზოგადოება სრულიად ცარიელ ადგილზე დაარსდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დიმიტრი ბაქრაძის თაოსნობით ჯერ კიდევ 1889 წელს დაფუძნებულ „ტფილისის საეკლესიო სიძველეთა საცავს“, და საქართველოს ისტორიისა და ენიერ ულტურის ისტორიისათვის ეფუძნებოდა ეროვნული ლიტერატურის მოყვარულთა ზემოხსენებულ წრეს, იმავე ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით 1900 წლიდან რომ არსებობდა.

დამფუძნებელ კრებაზე ე. თაყაიშვილს მომავალი საზოგადოების წესდების შედგენა და მისი ფუნქციის განსაზღვრა დაეკისრა. ფუნქცია ჯერჯერობით ერთადერთი იყო: საზოგადოებას უნდა მოეპოვებინა, შეეინახა, მეცნიერულად შეესწავლა და გამოეცა არქეოლოგიური თუ ანთროპოლოგიური, ლიტერატურული თუ ეთნოგრაფიული მასალები, თავის მუშაობაში ის არ უნდა შემოფარგლულიყო მარტოოდენ საქართველოს წარსულით. მეცნიერული შესწავლის ორბიტაში უნდა მოექცია მთელი კავკასია და კავკასიის მოსაზღვრე ქვეყნები.

მოპოვებული ისტორიული ექსპონატების — მატერიალური კულტურის ძეგლების შენახვის და მეცნიერულად შესწავლის პრობლემა თავისთავად გულისხმობდა სიძველეთა მუზეუმის დაარსებას, წერილობითი ძეგლების შენახვაშესწავლის და გამოსაქვეყნებლად მომზადების მიზნით კი უნდა გახსნილიყო საზოგადოების წიგნსაცავი-ბიბლიოთეკა.

ერთსაც და მეორესაც სჭირდებოდა შესაბამისი შენობები, შენობებს კი მიწის ნაკვეთები, რომლებიც საზოგადოებას არ გააჩნდა. სჭირდებოდა მომსახურე პერსონალი, რომლის ძირითად საქმიანობად აღნიშნულ სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობა უნდა ქცეულიყო. გარდა ამისა, სიძველეების შეგროვება, რომელსაც საზოგადოება თავისი ძალებით განახორციელებდა, წარმოუდგენელი იყო სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობის, არქეოლოგიური გათხრების გარეშე.

სად უნდა ეშოვათ საჭირო ფული? ვის შეეძლო დაეფინანსებინა ასე ძვირად ღირებული ეროვნული საქმე? ვისი იმედითა და მხარდაჭერით მოქმედებდა საქმის მოთავე ექვთიმე თაყაიშვილი?

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ქართველი ერის სულიერი აღორძინების მიზნით, ისტორიულ ძველბედობათა გამო ჩრდილში მოქცეული მისი გმირული წარსულის შესწავლის, საკაცობრიო ცივილიზაციაში მის მიერ შეტანილი წვლილის წარმოჩენისა და დადგენის მიზნით აღმოცენდა და უკლებლივ ყველას, ვისაც თავი ქართველად, თავისი მრავალტანჯული სამშობლოს შეგნებულ შვილად და მოქალაქედ მიაჩნდა, საზოგადოების სასარგებლოდ წილი უნდა გაეღო, საზოგადოებას მხარში ამოსდგომოდა.

ეს იყო ერთადერთი რამ, რაზედაც ე. თაყაიშვილი იმედს ამყარებდა და ეს იმედი არც ცარცდა. მთელი ქართველი ხალხი, მისი უკლებლივ ყველა ფენა, ვისაც რა ეგზადა და როგორც შეეძლო, ახლადდაარსებულ საზოგადოებას შეეწია და ეს საქმე თავისი პატრიოტული მოვალეობის, თანისი სინდისის საქმედ მიიჩნია. წესდების თანახმად საზოგადოების წევრები რამდენიმე კატეგორიად იყოფოდნენ: მზრუნავებად, სიპატიოდ, ნამდვილად, კორესპონდენტებად და დამხმარეებად.

ვინ იყვნენ ეს „მზრუნავები“ და „სიპატიო წევრები“?

პირველნი შეძლებულ კლასებს — თავად-აზნაურობას, აგდილობრივ ქართულ ბურჟუაზიას და ვაჭარ-ხელოსანთა ფენებს ეკუთვნოდნენ, რომლებსაც თავიანთი შემოწირულობებით საზოგადოების საბრუნავი თანხა უნდა შეექმნათ, ხოლო მეორენი — „სიპატიო წევრები“, სახელმოხვეჭილი მამულიშვილები, ერის მამები, თავიანთი წევრობით საზოგადოებას ძალასა და ავტორიტეტს შესძენდნენ როგორც ხალხში, ისე ხელისუფლების წინაშე.

საზოგადოების პირველი „სიპატიო წევრი“ აკაკი წერეთელი იყო. სულმნათ აკაკისთან ერთად, რასაკვირველია, ასევე პირველი წევრი იქნებოდა საზოგადოებისა ილია ჭავჭავაძეც, სწორედ იმ წელიწადს, საზოგადოება რომ დაარსდა, ერის მოღალატის ტყვიით განგმირული რომ არ დაცემულიყო.

ექვთიმე თაყაიშვილის უმწიკვლო პიროვნებამ და მეცნიერულმა რეპუტაციამ მოწინავე ქართული საზოგადოებრიობა მის მიერ წამოწყებული საქმის გარშემო შემოკრიბა. აქეთ მოილტვოდა ყველა, ვისაც გულში სამშობლო სანთლად ეთოო და რომლის აღმავლობისა და დაწინაურებისათვის ჭაპანის გაწევა საკუთარი ადამიანური ღირსების უპირველეს პირობად მიაჩნდა.

საზოგადოების ნამდვილი და სიპატიო წევრები გახდნენ: ნ. მარი, ვ. პეტრიაშვილი, ალ. ხახანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ზურ. ავალიშვილი, პ. მელიქიშვილი, ივ. თარხნიშვილი, მწერალთაგან — ვაჟა-ფშაველა, ეკ. გაბაშვილი, ვ. ბარნოვი, დ. კლდიაშვილი, ნ. ნაკაშიძე, ა. ერისთავ-ხოშტარია, მხატვართაგან მ. თოიძე, დ. შევარდნაძე, დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, მ. ჭიაურელი, კომპოზიტორთაგან — დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, საეკლესიო პირთაგან — ეპისკოპოსები ალექსანდრე, ლეონიდი, კირიონი, პეტრე, დავითი...

საზოგადოების საერთო კრებამ „მზრუნავად“ წევრებად მიიღო და გამგეობაშიაც აირჩია ქართველი მრეწველები, რომელთა შორის დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის, ეკატერინეს მიერ გაწეული ღვაწლი განუზომლად დიდია. სარაჯიშვილმა საკუთარი **სახსრებ**ით იკისრა საქართველოს მუზეუმის აშენება და მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის ხარჯი სხვაც ბევრი ჰქონდა, მის მიერ ნაანდერძევი ფულით „სამუზეუმო კომისიამ“, რომელსაც აგრეთვე ექვთიმე თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა, ეს საქმე ბოლომდე მიიყვანა.

დაარსების დღეს საზოგადოების ანგარიშზე იყო 68 მანეთი და 40 კაპიკი, იმ შემოსავლიდან, რომელიც საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის მოყვარულთა წრის მიერ გამოცემულმა „თიმსარიანმა“ მოიტანა. 22 მანეთი აქედან საზოგადოების წესდების გადაწერასა და დამტკიცებას დაჭირდა.

ეს მცირეოდენი თანხა და რამდენიმე ათეული წიგნისაგან შემდგარი ბიბლიოთეკა, რომელიც საზოგადოებას ნიკო ხიზანიშვილის (ურბნელის) ქვრივმა, ელისაბედ ჩერქეზიშვილმა დაუტოვა და რომელიც ერთ პატარა კარადაში მოთავსდა, შემოწირულებების წყალობით, ყოველი მხრიდან რომ მოდიოდა, სულ მალე გაიზარდა და საზოგადოების თანდათან მიცა წელის წამოწევის საშუალება. მარტო ბაქოელმა ქართველობამ მის სასარგებლოდ 35 ათასი მანეთი გაიღო. საზოგადოების ერთ-ერთმა „მზრუნავმა“ წევრმა პ. თუმანიშვილმა საზოგადოებას გადასცა 28 ათას 800 მანეთად ღირებული მიწის ნაკვეთი. მანვე ფოტოგრაფ ერმაკოვს დაამზადებინა საქართველოს ეკლესია-მონასტრების ფოტოსურათებისაგან შემდგარი 30 ალბომი და საზოგადოებას აჩუქა. პ. თუმანიშვილის ხარჯით მოეწყო სვანეთის დიდი არქეოლოგიური ექსპედიცია. იქმნება და იგზავნება სამეცნიერო ექსპედიციები საქართველოს სხვა კუთხეებში, აგროვებენ ეკლესია-მონასტრებში დაცულ, აგრეთვე ოჯახებში შემორჩენილ უძველეს ქართულ ხელნაწერებს და სიგელ-გუჯრებს, თავს უყრიან ეთნოგრაფიულ მასალას, სწავლობენ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, ხანგრძლივი უპატრონობის გამო ბევრი ძეგლი ამ დროისათვის დანგრევის პირას იყო მისული, ფრესკები რომ მაინც გადაერჩინათ, 1912 წლიდან საზოგადოებამ ხელი მიჰყო დამსკდარ-ჩამოფენილი კედლებიდან ფრესკების ასლების გადმოდებას. ასე გადმოიღეს ბეთანიის, საფარის, მცხეთის, ყინწვისის, ტიმოთესუბნის, ნაბახტევის, ჭილეევის, ნაყუთალეშის, ვანის, გარეჯის, ბერთუბნის, ხახულის, ოშკის, ტაბაკინის, ნეკრესის, საბუეს ფრესკების ასლები.

საზოგადოების თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით გამოსვლას იწყებს ორი სქელტანიანი კრებული „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“, პირველ მათგანში საისტორიო, საეთნოგრაფიო, ლინგვისტური, ფოლკლორული, ნუმიზმატიკური და სხვა სახის გამოკვლევები იბეჭდება, მეორე კი არსებითად ძველი ქართული წერილობითი ძეგლების გამოქვეყნებისა და კომენტირებისადმი მიძღვნილი.

გაცხოველებულ საორგანიზაციო მუშაობას ხელი არ შეუშლია ე. თაყაიშვილისათვის ჩვეული ინტენსიურობით განეგრძო სამეცნიერო მოღვაწეობა, მან ფეხით შემოიარა მთელი საქართველო, აზომა და აღწერა ქვიყნის სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ღირსშესანიშნავი ძეგლები, რომელთა ერთი ნაწილი, სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ მაშინდელი აღწერილობითა და ფოტოსურათების მიხედვით შემოგვრჩა.

ექვთიმე თაყაიშვილის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს მეცნიერის მოგზაურობას სამხრეთ, ეგრეთ წოდებულ თურქეთის საქართველოში. მამა-პაპის სისხლითა და ოფლით მორწყული ძველი მესხეთის მიწა-წყალი მან სამჯერ — 1902, 1907 და 1917 წელს შემოიარა და დაწვრილებით აღწერა დედის ძუძუს მოწყვეტილი კუთხის განუმეორებელი კულტურის ძეგლები: ოშკი, ბანა, იშხანი, ხახული, ანჩა, ტბეთი, პარხალი...

დიდია ექვთიმე თაყაიშვილის მონაწილეობა და ღვაწლი ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. იგი პირველი დღეებიდანვე უნივერსიტეტის „საინიციატივო ჯგუფის“ ერთ-ერთი მთავარი წევრი იყო და განუშორებლივ მხარში ედგა ივანე ჯავახიშვილს. ახალდაარსებულ უნივერსიტეტში სიბერძნისმეტყველების ფაკულტეტზე ე. თაყაიშვილი არქეოლოგიის კურსის კითხვას შეუდგა, იმავე წლის მაისის 18-ს კი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ღვაწლმოსილ მეცნიერს დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

სამუზეუმო შენობის მშენებლობასთან ერთად ექვთიმე თაყაიშვილის ერთი უპირველესი საზრუნავი სამუზეუმო ქონების საიმედოდ შენახვა და მოვლა-პატრონობა იყო. ამ დროს საქართველოში უკვე სამი მუზეუმი არსებობდა: წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა, საეკლესიო და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. საჭირო შენობა არც ერთ მათგანს არ ჰქონდა. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ექსპონატები მოთავსებული იყო გიმნაზიის შენობაში, რომელიც 1918 წლის იანვრიდან, როგორც თავიდანვე ნავარაუდევი იყო, უნივერსიტეტს გადაეცა. მუზეუმი, რომლის ფონდები დღითი დღე იზრდებოდა, ერთი მხრივ უნივერსიტეტს ავიწროებდა და მეორე მხრივ იმავე სივიწროვის გამო თავადაც ზარალდებოდა. იოლი გამდიდრების მანიით შეპყრობილი პირები, უცხოელი ავანტიურისტებიც და თვით ქართველებიც, სხვადასხვა მაქინაციებით ახერხებდნენ სიძველეთა ხელში ჩაგდებას და ჯიბის გასქელების მიზნით საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანას. ე. თაყაიშვილს გამოცდილი კრიმინალისტის შეუმცდარი აღლო და ოპერატიულობა სჭირდებოდა, უკანონოდ მითვისებული ნივთების ასავალ-დასავალი რომ მიეკვლია და შემდეგ კანონიერი მფლობელის — ქართველი ხალხისათვის მის დასაბრუნებლად ეზრუნა.

მაგრამ ახალი დიდი საფრთხე სამუზეუმო განძეულობას, არა მის რომელიმე ექსპონატს, არამედ ყველაფერს ერთად, მაშინ შეექმნა, როდესაც 1921 წლის იანვარში, საფრანგეთის ელჩ აბელ შევალიეს რჩევით, მენშევიკურმა მთავრობამ განძეულის ემიგრაციაში წაღება და ევროპის რომელიმე ბანკში მისი მოთავსება გადაწყვიტა.

ექვთიმე თაყაიშვილი საქართველ

23-24 აპრილი — ნათლისღების და ახალი [illegible] ხსოვნის დღე

ეს ჩვენ, ცოცხლებს გვჭირდება

ალზარდე ადამიანი!

ისტორიული წარსული ნათლად მოწმობს, რომ ჩვენ ხალხს ჰქონდა ბევრი კარგი ჯანსაღი, ღრმამშინაარსიანი ტრადიცია, რომელთა შორის წინაპართა პატივისცემა, განსვენებულ ახლობელთა მოგონების წესი და რიტუალი ყოველთვის უურადღების ცენტრში იყო.

ამ უძველესი ტრადიციისათვის ახალი სახის მინიჭების განსაკუთრებით კარგი ის გახლავთ, რომ აწ გარდასულთა მოხსენება საგანგებოდ შერჩეულ დღეს საყოველთაო იქნება.

ეს ახლა განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია, როცა ზოგი ჩვენი კარგი საუკუნოვანი ტრადიცია ხშირად მახინჯდება. მიცვალებულთა მოსახსენებლად შეკრებილთ ღვინის უხმო სმაში შეუმჩნეველად შეშოკარებათ ხოლმე ჩვეულებრივი დროსტარება და ქეიფი. უფრო მეტიც, წინაპართა პატივისცემა შეურაცხყოფად იქცევა და, ასე განსაჯეთ, მოგონების სუფრიდან განსასჯელს სკამზეც ხვდებიან. ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში რეგისტრირებულია არაერთი ფაქტი, როცა მიცვალებულს ხსოვნის აღნიშვნის სუფრასთან ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული, ისეთი მძიმეც კი, როგორიც არის მკვლელობა...

ვაანალიზებთ რა ასეთ შემთხვევებს, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მიცვალებულთა ხსოვნის ერთიანი დღის დაწესება მეტად სასურველია — ადამიანთა სულიერი დახვეწა და ამაღლება — სავსებით შეესაბამება რესპუბლიკაში მიმდინარე ზნეობრივი გაჯანსაღების პროცესს.

ჩვენთვის ძვირფას, ცხოვრების წინაშე ვალმოხდილ ადამიანთა მოგონების საგანგებო დღის შემოღება — ეს ხომ ყველაზე მარადიულ და ფაქიზ ზნეობრივ ღირებულებას განეკუთვნება!

ამ საკითხებზე რომ ვფიქრობ, მაგონდება ერთი ჩემთვის მეტად ახლობელი ოჯახი, რომელიც სოფლად ცხოვრობს. თითქმის 20 წელია შვილები ყოველწლიურად 13 აპრილს აღნიშნავენ მშობლების ხსოვნის დღეს. იკრიბებიან მხოლოდ ახლო ნათესავები და მეგობრები. ყველანი თავს იყრიან მამაპაპისეულ ოჯახში, წესრიგში მოჰყავთ და ალამაზებენ მშობლების საფლავს, იგონებენ მათს ამაგს. და ვფიქრობ, ეს ღრმა შინაარსის ცერემონიალი, მიცვალებულთა თაყვანისცემის ეს ცოცხალი შთამაგონებელი მაგალითი ადამიანური სრულყოფისათვის ზოგჯერ იქნებ გაცილებით მეტს აკეთებდეს, ვინემ ზოგიერთი სასკოლო გაკვეთილი თუ დიდაქტიკური საუბარი.

ფიქრი კვლავ იმ ოჯახს დასტრიალებს...

მახსენდება, ერთ-ერთ ასეთ ხსოვნის დღეს — დედის გარდაცვალების 10 წლისთავზე — უმცროსმა ვაჟიშვილმა დებსა და ძმებს სამახსოვროდ გადასცა მაგნიტოფონის ფირები, რომლებზეც ჩაწერილი იყო დედის საუბარი, მისი უკანასკნელი ლოცვა. შვილს სიცოცხლეში ჩაეწერა ავადმყოფი დედის ხმა. ფირებს სამახსოვრო წარწერა ჰქონდა გაკეთებული, რაც ასევე ფირზე იყო დაწერილი: „დებო და ძმებო, მიიღეთ საჩუქრად ამ ქვეყანაზე ყველაზე ძვირფასი — დედის ხმა. შეინახეთ იგი სათუთად და საიმედოდ, როგორც სწორუპოვარი, განუმეორებელი განძი. ცხოვრებაში რომ ძალიან გაგიჭირდეთ, მოისმინეთ დედის ლოცვა და ყველაფერი რიგზე იქნება!“. 10 წლის მანძილზე გაჩუმებული დედის ხმა კვლავ გაისმა მშობლიურ ჭერქვეშ. ყველაზე ახლობელმა, მოხატრებულმა ხმამ შესძრა შვილთა გული.

როგორ საჭიროა ასეთი ოჯახები მრავლად იყოს საქართველოში, ასეთმა ტრადიციამ ყველა ოჯახში მყარად გაიდგას ფესვი!

მშობლების უკვდავყოფის ეს მაგალითი იმისთვისაც მოვიყვანე, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტი სიყვარული და თაყვანისცემა სწორედ მათ ეკუთვნით.

გნებავთ, გავიდეთ ოჯახის ფარგლებიდან. სკოლებსა და სხვა სასწავლებლებშიც ხომ შეიძლება აღმზრდელ-მასწავლებელთა მოგონების დღის დაწესება, მით უკეთესი, თუ ამ საქმეს კომკავშირი ჩაუდგება სათავეში. და ეს ცხოვრებისაგან განყენებული კი არა, ახალი ადამიანის აღზრდის, თუ განვბავთ, ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასთან გარკვეულად დაკავშირებული საკითხებია. და თუ ცოტა შორს გავიხედავთ, ყოველივე ეს, გარკვეული გაგებით, სამართალდარღვევებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების პროფილაქტიკადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ანდა ავიღოთ საწარმო-დაწესებულებები და ორგანიზაციები, ჩვენი სოფელი და მისი სინამდვილე. იქ განა ცოტანი არიან ცხოვრებიდან წასული, ვალმოხდილი ადამიანები, რომლებმაც საზოგადოების, კოლექტივების ცხოვრებაში ღრმა კვალი და დაუვიწყარი სახელი დატოვეს, რომელთა მიმართ სიყვარული და პატივისცემა კვლავ უწინდებურად ტოკლობს. მართლაც, ამ ცხოვრებიდან წასულებსა და დარჩენილებს შორის, ამ ნათელ სამზეოსა და იმ უსასრულო მარადისობას შორის სიკვდილმა ყოველგვარი კავშირი ვერ უნდა გაწყვიტოს, ათმა თუ ოცოდე წელმა ახლობელი ადამიანები მივიწყების ბურუსში ვერ უნდა გაახვიოს. ყოველივე ეს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ნამდვილად ადამიანური და ღრმაშინაარსიანი სიცოცხლისათვის, თაობათა შორის მარად უწყვეტი კავშირისათვის.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისეული საქმეების პარალელურად, ჩვენი ვალია ადამიანის დიდების, მის მიმართ უღრმესი სიყვარულისა და პატივისცემის ეტიფეტა დავალებათ ჩვენს მომავალ თაობებს. წინაპართა სიბრძნეც ხომ ამას გვასწავლის: „თუ შენი საქმეები გათვალისწინებულია ერთი წლისათვის — თესე მარცვალი, თუ ათეული წლებისათვის — დარგე ხეები, ხოლო თუ საუკუნეებისათვის — აღზარდე ადამიანები“.

ხსოვნის დღის აღნიშვნა ყოველთვის დაკავშირებულია სასაფლაოსთან. ამიტომ, ბუნებრივია, ისმება მათი წესრიგში მოყვანის საკითხი.

სასაფლაოები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სოფლად, რადგან ბევრგან ისინი სრულიად მოუვლელია, საჭონლის სათარეშოდ გამხდარა. სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს ეხება მოწინაჭე სოფლებსაც, რომლებიც გამორჩეული არიან ყველა სხვა მაჩვენებლებით.

სოფლის ნამდვილი ხელმძღვანელი ის არის და ხალხის პატივისცემას ის იმსახურებს, ვინც მრავალ საზრუნავთა შორის თავის ადგილს მიუჩენს სასაფლაოებისადმი ყურადღებას, რაიონული ხელმძღვანელები კი ასეთ მოქმედებას მუდამ მხარს უნდა უჭერდნენ.

ამჟამად, როცა საბჭოთა კავშირის გმირის მელიტონ ქანთარიას წერილისა და მასთან დაკავშირებული სხვა პუბლიკაციების განხილვისა და მოწონების საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო საგანგებო დადგენილება, ყოველი ჩვენგანის ვალია შეგნებულად ვიბრძოლოთ მისი მოთხოვნების ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის.

ქ. ნარმანია,
სსრ კავშირის უურნალისტთა კავშირის წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი.

უკანასკნელი

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

13 აპრილი

● აშშ

ვაშინგტონი უარყოფს

ნიუ-იორკი. სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა უარყო პრესის ცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი პირადად მონაწილეობდა შეერთებულ შტატებში გამართული საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილე ჩინელი ოგაბურთელისათვის ხუ ნასათვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. „რამდენადაც ვიცი, — განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, — რეიგანი პირადად არ ყოფილა ამ საქმეში ჩარეული“.

მიუხედავად ამისა, ამერიკის პრესა სრული დარწმუნებით აცხადებს, რომ პრეზიდენტის როლი სრულიად სხვა იყო, ვიდრე სახელმწიფო დეპარტამენტი ამბობს. „ვაშინგტონ პოსტის“ პეკინელი კორესპონდენტის თქმით, „დასავლელ დიპლომატებს მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტის მისამართით გაზეთ „ჟენმინ ჟიბაოს“ მკვეთრი განცხადებები ასახავს ჩინეთის ხელმძღვანელობაში ფართოდ გავრცელებულ აზრს, რომ რეიგანმა განზრახ დაამცირა ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი ხელმძღვანელი დენ სიაოპინი, როცა უარი უთხრა თხოვნაზე ჩინეთში დაებრუნებინათ ხუ ნა.“

მოჰყავთ რეიგანის განცხადება, რომ ურჩევნია „იშვილოს ხუ ნა, ვიდრე გადასცეს იგი წითელ ჩინეთს“.

ზანგი — ჩიკაგოს მერი

ნიუ-იორკი. ამერიკის სიდიდით მეორე ქალაქ ჩიკაგოს მერი ისტორიაში პირველად გახდა ზანგი კონგრესმენი ჰაროლდ ვაშინგტონი. წინასწარი მონაცემებით, მუნიციპალურ არჩევნებში მას ხმა მისცა ამომრჩეველთა 51,5 პროცენტმა.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ᲒᲡᲝᲓᲐ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეები — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სოფლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მკრთალთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტკიბული — 25-82.

● ნიკარაგუა

უაღრესად საშიში ვითარება

მანაგუა. რეიგანის ადმინისტრაციის მიზეზით ცენტრალურ ამერიკასა და კარიბის აუზში უადრესად საშიში ვითარება შეიქმნა, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მარტო რეგიონს, არამედ მთელი მსოფლიოს მშვიდობას. ამერიკის შეერთებული შტატები პროვოკაციულად აწყობს ომს იმ მიზნით, რომ არ დაუშვას ხალხთა, უწინარეს ყოვლისა ნიკარაგუისა და სალვადორის ხალხთა თვითგამორკვევა. ეს ნათქვამია ლათინური ამერიკის ქვეყნების ერთობის ალმასრულებელი კომიტეტის დასკვნის დეკლარაციაში, კომიტეტისა, რომელმაც აქ მუშაობა დაამთავრა. 1970 წელს შექმნილი ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც თავისი განყოფილებები აქვს კონტინენტის 23 ქვეყანაში, იღვწის განიარაღებისათვის, მშვიდობისათვის, ტრანსეროვნული კორპორაციების ძარცვისაგან ეროვნული ბუნებრივი რესურსების დაცვისათვის, ლათინური ამერიკის ქვეყნების დამოუკიდებელი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერისათვის.

მანაგუას თათბირის მონაწილეებმა გულისწყრომით დაგმეს რეიგანის ადმინისტრაციის ინტერვენციონისტული კურსის ესკალაცია, რომლის მიზანია ცენტრალურ ამერიკაში ვითარების „ვიეტნამიზაცია“, მოსთხოვეს თეთრ სახლს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს პროგრესული მთავრობების დესტაბილიზაციის პოლიტიკა. ალმასრულებელმა კომიტეტმა მოუწოდა კონტინენტის დემოკრატიულ წრეებს იბრძოლონ იმისათვის, რომ ცენტრალური ამერიკა და კარიბის აუზი გადაიქცეს მშვიდობის ზონად, განამტკიცონ სოლიდარობა ხალხებთან, რომლებიც იმპერიალისტურ აგრესიას ემსხვერპლნენ.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ



ამპას წინათ კამპუჩიის დედაქალაქ პნომპენში გაიმართა საერთაშორისო ფორუმი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობისათვის. მისმა მონაწილეებმა ერთსულოვნად დაგმეს იმპერიალიზმის მილიტარისტული გეგმები, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების დაჩქარება.

ფორუმის მუშაობის დროს პნომპენში გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა და უცხოელ სტუმართა 140-ათასიანი მიტინგი (სურათზე).

საკლესიის ფოტო.

ᲘᲠᲐᲜ-ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

ბეირუთი. როგორც თეირანის რადიო იუწყება, ირანის ჯარებმა ერაყის არმიის ქვეგანაყოფების წინააღმდეგ მოაწყვეს მთელი რიგი საბრძოლო ოპერაციები ფრონტის უბანზე ირანის ჰუზესტანის პროვინციის რაიონში.

წინა ორი დღის ბრძოლების დროს, ნათქვამია რადიოს ცნობაში, მოკლული და დაჭრილია მოწინააღმდეგის დაახლოებით ხუთი ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 350 კაცი დატყვევებულია, ირანის ტერიტორიის 150 კვადრატული კილომეტრი განთავისუფლებულია.

ბაღდადი. ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის მორიგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ერაყის ჯარებმა შეაჩერეს ირანის არმიის იერიში, რომელიც 10 აპრილს ღამით დაიწყო ფრონტის სამხრეთ უბანზე ერაყის მაისანის პროვინციის სექტორში, მოიერიშე ძალები დაამარცხეს. ერაყის ოფიციალური სამხედრო წარმომადგენელი განცხადების თანახმად, ჩაფუშული შეტევის შედეგად მოწინააღმდეგემ დაკარგა 3.220 კაცი, ირანის ბევრი სამხედრო მოსამსახურე დაჭრილია და ტყვედაა წაყვანილი. განადგურებულია ტანკები, ავტომანქანები და სხვა საბრძოლო ტექნიკა.

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ

უსეში მონაჭორი

დელი. სიყალბე, ფაქტების დამახინჯება, სახურველის სინამდვილედ გასაღებისადმი მისწრაფება ვაშინგტონის ახლანდელი ადმინისტრაციის „სავიზიტო ბარათი“ გახდა. ინდოეთის მთავრობის წრეებში განცვიფრება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის უილიამ შნაიდერის ამასწინანდელმა განცხადებამ, რომელმაც ვაშინგტონისათვის დამახასიათებელი უტიფრობით დაამახინჯა ფაქტები, რომლებიც უშუალოდ ინდოეთს ეხება. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში იგი ამტკიცებდა, თითქოს ინდოეთი ამერიკის შეერთებულ შტატებში ყიდულობს 900 მილიონი დოლარის „რამდენიმე ასეულ“ საარტილერიო იარაღს. უფრო თანამედროვე შეიარაღების მიწოდების განხორციელება, მისი თქმით, შეუძლებელი ხდება დელში „დიდი საბჭოთა სამხედრო მისიის“ ყოფნის გამო.

გარდა იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური უწყების წარმომადგენლის ამგვარი განცხადებანი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, ისინი აშკარად მიზნად ისახავენ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის აუცილებელი პროპაგანდისტული ეფექტის მიღწევას, წერს წყაროების დამოწმებით ინდოეთის მთავრობაში კარგად ინფორმირებული გაზეთი „ჰინდუ“. როგორც ვიცით, 1980 წელს ინდოეთის მართლაც ჰქონდა მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგიერთი სახეობის შეიარაღების შესყიდვის თაობაზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა ინდოეთისათვის მიუღებელი პირობები წამოაყენა, ინდოეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ სახეობის იარაღი შეისყიდოს სხვა წყაროებიდან. და ეს არ შეიძლება არ იცოდეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა, აღნიშნავს გაზეთი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არავითარი „ამერიკა-ინდოეთის სამხედრო გარიგება“ არ არსებობს, როგორც ამას ამტკიცებს უ. შნაიდერი, განაცხადეს ინდოეთის მთავრობის წრეებში.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის თანამშრომლის მტკიცებებს „დელში დიდი საბჭოთა სამხედრო მისიის“ ყოფნის შესახებ, მათ ჯორების გარდა სხვას ვერაფერს უწოდებ. სინამდვილეში ინდოეთში დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ატაშეებისა და მრჩევლების საერთო რიცხვი აღემატება სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების შესაბამის თანამშრომლთა რიცხვს, აღნიშნავს გაზეთი.

უ. შნაიდერის განცხადება, ხაზგასმით აღნიშნავს „ჰინდუ“, თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაცია მიმართავს ინდოეთზე ზემოქმედების ტაქტიკას, რათა თავს მოაბეზოოს მას საკუთარი პოლიტიკური პირობები.

ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საფრანგეთის ხელისუფლებმა სრულიად უსაფუძვლოდ ამ დღეებში მოითხოვეს საბჭოთა კავშირის საელჩოსა და სხვა საბჭოთა დაწესებულებების — სავაჭრო წარმომადგენლობის, საკდესის განყოფილების, სსრ კავშირის მარსელის გენერალური საკონსულოს თანამშრომელთა ჯგუფის წასვლა საფრანგეთიდან. ამ არამგობრული აქციის შემდეგ საფრანგეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უაზრო მონაჭორების კორიანტელი დადგა. მდარე დეტექტივების სტილით ვრცელდება საფრანგეთის სახელმწიფო და სამეცნიერო-ტექნიკურ საიდუმლოებათა გატაცების ვერსიები და ათასნაირი სხვა აბსურდული მტკიცებანი. საფრანგეთის პრესა, და არა მარტო საფრანგეთისა, ამგვარ მტკიცებებს იყენებს ისტერიის კამპანიის გასაჩაღებლად.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ საფრანგეთის ბევრი გაზეთი იმეორებს მონაჩმახებსა და მონაჭორებს, რომლებითაც მათ უზვად ამარაგებენ ამერიკის სააგენტოები და პრესა. ფრანს პრესი იძულებული იყო აღენიშნა, რომ საბჭოთა დიპლომატების მიმართ საფრანგეთის ხელისუფალთა გეგმების შესახებ ცნობა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ჯერ კიდევ აქციის წინა დღით გაჩნდა. პარიზში, აღნიშნავს ეს საგაზეთო, მაშინვე გამოთქვეს ვარაუდი, რომ ინფორმაციის ასეთი გადინება ორგანიზებული იყო ამერიკის დაზვერვის მიერ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფრანგებს შეესრულებინათ თავიანთი გეგმა.

საფრანგეთში საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომელთა წინააღმდეგ მთელი ეს კამპანია კანონიერ შეშფოთებას იწვევს საფრანგეთის პრესის ზოგიერთ ორგანოში. ისმება კითხვა, რა გავლენას მოახდენს ეს საბჭოთა-კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობაზე? ამასთან აღინიშნება, რომ ამ აქციის ნამდვილი მიზეზი ძნიშვნელოვანწილად არის საფრანგეთის შინაპოლიტიკური ვითარება და რომ იგი მოეწყო იმ მიზნით, რათა საფრანგეთის საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოეშორებინათ კვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობისათვის. ამას წერს საფრანგეთის ბევრი გაზეთი.

საბჭოთა ადამიანები, როგორც ამას მოწმობენ გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში გამოგზავნილი წერილები, აღშფოთებას გამოხატავენ და გმობენ საფრანგეთის ხელისუფალთა თვითნებურ მოქმედებას და ამ მოქმედების გამო ატეხილ პროვოკაციულ აურზაურს. (საკდესი).

ᲞᲠᲔᲡᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

ᲔᲫᲘᲕᲜᲔᲑᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ Ე. ᲙᲠᲐᲩᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ᲬᲚᲔᲣᲚᲘ 100 წელი უსრულდება საბჭოთა არაბისტიკის ფუძემდებელს, აკადემიკოს ეგნატე იულიანეს ძე კრაჩკოვსკის. მეცნიერმა დიდი წვლილი შეიტანა, კერძოდ, საქართველოში არაბისტიკისა და სემიტოლოგიის დარგის გამოკვლევათა განვითარებაში. მსოფლიო აღიარება მოიპოვა ი. კრაჩკოვსკის მოწაფეებმა — აკადემიკოსებმა გ. წერეთელსა, ა. შანიძის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის კ. წერეთლისა და სხვა ქართველ მეცნიერთა შრომებმა.

გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნას მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ვ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების გაერთიანებული სხდომა.

აკადემიკოს ე. კრაჩკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების, ქართველ მეცნიერებთან მისი მჭიდრო კავშირის, საბჭოთა არაბისტიკაში, არაბულ ლიტერატურასა და ისტორიოგრაფიაში დიდი წვლილის შესახებ ილაპარაკა თბილისის უნივერსიტეტის კათედრის გამგემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. წერეთელმა.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, პროფესორმა ვ. ახელედიანმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „კრაჩკოვსკი — საბჭოთა არაბისტიკის ფუძემდებელი“. „კრაჩკოვსკი, როგორც არაბული ლიტერატურის ისტორიკოსი“ — ასე უწოდა თავის მოხსენებას დოცენტმა ნ. ფურცელაძემ, დოცენტმა თ. მარგველაშვილმა წაიკითხა მოხსენება „კრაჩკოვსკი და დაღესტნის არაბულენოვანი ლიტერატურა“, არაბულ ისტორიოგრაფიაში ე. კრაჩკოვსკის წვლილს მიუძღვნა თავისი მოხსენება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ე. სიხარულიძემ.

თვალსაჩინო მეცნიერის შესახებ დამსწრეთ მოგონებანი გაუზიარეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ა. შანიძემ, ს. ჯიქიამ, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა მ. შანიძემ.

ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ცხინვალი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ბოლო ხანებში ოსი მწერლები მუშათა კოლექტივების ხშირი სტუმრები არიან. ისინი ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიშით გამოდიან მრეწველობის დარგისა და სოფლის მეურნეობის მშრომელების წინაშე.

ახლახან ოსი მწერლების ერთი ჯგუფი ეწვია. ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის. მუშათა ფართო აუდიტორიის წინაშე ოსი მწერლების შემოქმედებითი სიახლეების შესახებ მოხსენება გააკეთა კ. ხეთაგუროვის პრემიის ლაურეატმა, ცნობილმა ოსმა პოეტმა გიორგი ძუგაევმა.

საკუთარ შემოქმედებითს გეგმებზე ილაპარაკეს პროზაიკოსმა მიხეილ გუჩმაზოვმა, პოეტებმა რევაზ ასაევმა, ნუგზარ ბაკაევმა, ჰაჯი-მურათ ძუცწათიმ, ეფიმ იკოევმა და სხვა.

სამართალდარღვევა: ᲕᲘᲜ ᲐᲒᲔᲒᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ?

რედაქციას უპასუხებს პარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ლ. დათიაშვილი

პასუხში ნათქვამია: 18 მარტს „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილზე „სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?“ გაცნობებთ, რომ საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის ბიურომ განიხილა აღნიშნული ფაქტი. ბიუროს სხდომაზე ითქვა, რომ ქ. ხაშურში, გამარჯვების ქუჩაზე „უაზ-452“ მარკის უნომრო ავტომანქანა მოქალაქე გ. ხომასურიძეს დაეჯახა და მიიმალა.

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების ოპერატიულ ღონისძიებათა შედეგად დამნაშავე დადგინდა და დაკავებულია. ეს გახლავთ დროებით უმუშევარი გ. ბეკოევი, რომელსაც უკანონოდ გადასცა საჭე სანატორიუმ „ნაკადულის“ მძღოლმა თ. ბერიძემ.

ავტოსატრანსპორტო შემთხვევი ამან გამიოწვია, რომ სანატორიუმ „ნაკადულის“ ხელმძღვანელობა (ყოფილი მთავარი ექიმი — ლ. მათიაშვილი) გულგრილად და უპასუხისმგებლოდ ეკიდება საქმეს, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექცია კი ჯეროვან კონტროლს არ უწევს მოძრაობის უსაფრთხოებას.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სანატორიუმ „ნაკადულის“ სამეურნეო ნაწილის გამგემ ა. ქურდაძემ, რომელსაც ევალებოდა კონტროლი გაეწია ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციისათვის, უგულებელყო კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და ავტოტრანსპორტი, რომელსაც არ გააჩნდა სახელმწიფო ნომრები, გამოიყენა სანატორიუმის საჭიროებისათვის. ა. ქურდაძის მხრივ უკონტროლობის შედეგად მძღოლ თ. ბერიძეს საშუალება მიეცა არაამაშუშო საათებში, სახელმწიფო ავტომანქანით თავის პირად საქმეზე წასულიყო, რასაც ავტოსატრანსპორტო შემთხვევა მოჰყვა.

ამასთან ერთად შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციამ საჭირო ღონისძიებები ვერ განახორციელა სახელმწიფო ავტოტრანსპორტის არადანშნულებისაბერ, არასამუშაო საათებსა და დღეებში გამოყენების შემთხვევათა აღკვეთის მიზნით.

ბიუროს სხდომაზე მიღებული დადგენილების შესაბამისად, სახელმწიფო ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციისადმი კონტროლის შესუსტებისათვის, რამაც განაპირობა მძიმე შედეგიანი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, სანატორიუმ „ნაკადულის“ მთავარ ექიმს ლ. მათიაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და გათავისუფლდა თანამდებობიდან.

იმისათვის, რომ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საქმეში სათანადო ღონისძიებანი არ განახორციელა, რამაც გარკვეულად განაპირობა მძიმე შედეგიანი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, სანატორიუმ „ნაკადულის“ პარტიული ორგანიზაციის მდივანს ე. ბებიაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. მძიმრობის უსაფრთხოებისადმი კონტროლის შესუსტებისათვის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის საგზაო საპატრულო სამსახურის უფროსს თ. ლომძიეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

ბიუროომ დაავალა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას განიხილოს უბნის ინსპექტორის ბ. ხაჩიძის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც არაფერი იღონა უმუშევარ გ. ბეკოევის სამუშაოზე მოწყობისათვის.

ᲣᲙᲐᲤᲐᲜᲘ

ᲥᲝᲜᲘᲡᲮᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲡᲮᲚᲔᲑᲐ

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲔᲒᲗᲐᲜ

ᲑᲠᲫᲝᲚᲓᲔᲑᲐ ᭣ᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩები. **ფელდენში (ავსტრია)** ვასილი **სმისლოვისა** (სსრ კავშირი) და რობერტ **პიუბნერის** (გფრ) მეათე პარტია გადადებული იყო და იგი, მეორე დღეს მოჭადრაკეებმა 47-ე სვლაზე ყაიმით დაასრულეს. ანგარიში გახდა 5:5. მატჩში გამარჯვებულის გამოსავლენად კიდევ ოთხი პარტია გათამაშდება და თუ ამ შემთხვევაშიც საყაიმო ანგარიში აღინიშნება, გამარჯვებულის ,ინაობას წილისყრა გამოავლენს. **ალიკანტეში (ესპანეთი)** გაიმართა ხოლტან **რიბლისა** (უნგრეთი) და ეუგენიო **ტორეს** (ფილიპინები) მეხუთე პარტია. ეს შეხვედრა მოიგო რიბლიმ და დაწინაურდა — 3:2. ნანა **ალექსანდრიასა** (სსრ კავშირი) და ტატიანა **ლემაჩკოს** (შვეიცარია) მეოთხე პარტია 42-ე სვლაზე გადაიდო ალექსანდრიასათვის მოსაგებ პოზიციაში. ჯერჯერობით ანგარიშია 2:1 ალექსანდრიას სასარგებლოდ.

მოსკოვში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურში ბელიავსკიმ დაამარცხა გელერი. დაზგადნენ ტუკმაკოვ-ფსახისი და პოლუგაევსკი-ბალაშოვი, გადაიდო მალანიუკრომანიშინის, ვაპანიან-პეტროსიანის, რაზუვაევ-ზმაიფაროშვილის და აგზამოვ-იუსუპოვის პარტიები. ტალის ავადმყოფობის გამო არ შემდგარა მისი შეხვედრა კარპოვთან. ამ დღეს თამაშიდან თავისუფალი იყო ლერნერი. 4-4 ქულით ლიდერობენ ბელიავსკი (ერთი გამოტოვებული პარტია) და ფსახისი (ერთი გადადებული პარტია).

იაროსლავლში გრძელდება ᭣ᲐᲑᲣᲙ მოჭადრაკეთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი საკავშირო შეჯიბრება. მოეწყო სამი ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება. ამ ტურნირში მოსასპარეზე თბილისელმა გია გიორგაძემ ჟენევაზოვოდსკელ ა. დრეევთან გადადებული პარტია ყაიმით დასრულა. სამი ტურის შემდეგ ა. გოლდინმა, რ. დაუტოვმა, ი. ნაუმკინმა, ლ. ოლმა და ვ. რუბანმა 2-2 ქულა დაგროვეს და შეჯიბრებას ლიდერობენ. მომ